

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის დასახელება: ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფცია

დამგეგმავი ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: ხულოს მუნიციპალიტეტი, კურორტი ბეშუმი (მიმდებარე ტერიტორიებით), გოდერძის უღელტეხილის არეალი და შქერნალის უბანი

2023 წლის 3 აპრილს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფცია და სკოპინგის განცხადება.

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფცია, თანდართული დოკუმენტაცია და სკოპინგის განცხადება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, განთავსდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული (<https://nea.gov.ge/Ge/GZSH/4674>)), ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე გაეგზავნა წერილი აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების მიზნით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 10 აპრილს წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია გენერალური გეგმის და განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციასა და სკოპინგის განცხადებაზე, რომელიც ასევე განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/4693>).

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას როგორც დამგეგმავი და უფლებამოსილი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე, მათ შორის, საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმზე.

გეგმარებითი ერთეული შედგება სამი, ერთმანეთისგან სივრცით-ტერიტორიულად განცალკევებული, მაგრამ, ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან:

- კურორტი ბეშუმი მიმდებარე ტერიტორიებით;
- შქერნალის უბანი;
- გოდერძის უღელტეხილის არეალი.

ამ კომპონენტების ფუნქციურ-გეგმარებითი გააზრება შემოთავაზებულია ერთიან კლასტერად - „ბეშუმ-გოდერძის კლასტერად“. ამასთან, კლასტერში შემავალი ერთეულები, მათი თავისებურებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლადაც არის აღწერილი.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ ტერიტორიას არ გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია, ამდენად, მისი განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, აფერხებს დამსვენებელთა და ტურისტული ნაკადის ზრდას.

სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ძირითადი ამოცანებია:

- საკურორტო ფუნქციების განვითარება, აუცილებელი საკურორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- ზამთრის ტურიზმის კურორტ გოდერძისთან ერთად განვითარება;
- კურორტის სანიტარიული მდგომარეობის მაქსიმალურად გაუმჯობესება;
- ეფექტიანი ქალაქგეგმარებითი ღონისძიებების გატარება არსებული და პერსპექტიული განაშენიანების რეგულირების თვალსაზრისით.

გენერალური გეგმის ამოცანებად ასევე განისაზღვრა:

- კერძო და საჯარო ინტერესების, მათ შორის დარგთაშორისი კონფლიქტების, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების ურთიერთშეთანხმება განაშენიანების მართვის საკითხებში;
- დარგობრივი გეგმების (ან მათი არარსებობის შემთხვევაში — დარგობრივი ასპექტების) გათვალისწინებით, ოპტიმალური საკურორტო-სარეკრეაციო გარემოსთვის საჭირო უფლებრივი პირობების შექმნა;
- დარგობრივი ასპექტების ცალკე გეგმების სახით გამოყოფა და მითითებების/რეკომენდაციების ფორმირება:
 1. გეგმარებითი ერთეულის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტზე;
 2. საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფაზე;
 3. ლანდშაფტის დაცვასა და განვითარებაზე;
- განაშენიანების განვითარებისათვის შეზღუდული ტერიტორიული რესურსების ფონზე, მზარდი სამშენებლო საქმიანობების გეგმაზომიერი განვითარების გათვალისწინება განვითარების სტრატეგიაში;
- კურორტის განვითარების სიმჭიდროვეების (მიმდინარე და შესაძლო ზღვრული მაჩვენებლები) და შესაბამისი საბალანსო მაჩვენებლების განსაზღვრა, გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
- საერთო სარგებლობის სივრცეების მოწყობისთვის უფლებრივი წინაპირობების ფორმირება საქმიანი ცენტრისთვის, მათ შორის კურორტის ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებისათვის, გამწვანებული ტერიტორიებისთვის, სოციალური ინფრასტრუქტურისთვის, სატრანსპორტო და ტექნიკური ინფრასტრუქტურისთვის;
- განვითარების ხედვისა და სტრატეგიის შესაბამისი განაშენიანების მართვის რეგლამენტის დადგენა კოდექსის და განაშენიანების ძირითადი დებულებების მოთხოვნათა დაცვითა და დაგეგმვის საჭიროების შესაბამისად.

კურორტი ბეშუმის კლასტერის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ფართობი 562,399 მ²-ია, რაც კლასტერის 5%-ს შეადგენს, ტერიტორიაზე არსებული შენობები დანიშნულების მიხედვით მეტწილად საცხოვრებელი - სააგარაკეა. სათანადო სამკურნალო-საპროფილაქტიკო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, ბეშუმი კანონმდებლობით განსაზღვრულ „კურორტის“ სტატუსს ვერ აკმაყოფილებს. ბეშუმი განხილულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამ ფუნქციურ-გეგმარებით ნაწილად: მემთეულთა საკარმიდამო განაშენიანების არეალი, „კურორტ ბეშუმის“ უბანი, სხვა სააგარაკე-დასასვენებელი სახლების ტერიტორია.

მემთეულთა საკარმიდამო განაშენიანების არეალი არის აჭარის მეცხოველეობის საზაფხულო იალაღების ალპური ზონა. ამ არეალშია განთავსებული ტრადიციული საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობები, ხოლო „კურორტს“ უწოდებენ ბეშუმის კურორტის ადმინისტრაციის ინიციატივით დასახლებაში მოწყობილი ღობით გამოყოფილი უბანს.

განხილული და შესწავლილია კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის ბუნებრივ-ეკოლოგიური მდგომარეობა, მინერალური წყაროებისა და სამკურნალო ტალახის მონაცემები, რის საფუძველზეც შემუშავდა კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი (წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტის დანართის სახით).

დოკუმენტაციის თანახმად, კურორტ ბეშუმის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა, მოწყობილია საკანალიზაციო ქსელები, რომელთა დაბოლოებებში განთავსებულია მექანიკური გამწმენდი ნაგებობები. კურორტზე მეტწილად მოწყობილია წყალარინების სისტემა. ასევე, მოწყობილია ღია და დახურული ტიპის სანიაღვრე არხები. სამეურნეო-ფეკალური მასების შეგროვება ასევე ხდება საასენიზაციო ორმოებში, რომლებიც უნდა იცლებოდეს საასენიზაციო მანქანების საშუალებით. ორმოების დიდი უმრავლესობა მოწყობილია სამშენებლო და სანიტარიული წესებისა და ნორმების უხეში დარღვევით, რის გამოც ძალზედ მაღალია ნიადაგის, გრუნტისა და წყაროს წყლების დაბინძურების რისკი.

შქერნალის უბანი, დოკუმენტის თანახმად, უნდა ჩაითვალოს ბეშუმის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ უბნად (ფართობით - 366.5 ჰა). ამ ტერიტორიაზე წარმოდგენილია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, „გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღი“. აღნიშნული უბანი წარმოადგენს სეზონურ დასახლებას, ხოლო მის დასახელებაში „უბნის“ კომპონენტი გულისხმობს უფრო მსხვილი დასახლების სისტემაში მოაზრებას (ბეშუმი). ტერიტორიაზე წარმოდგენილია მოიალაღეების საცხოვრებლები, სამეურნეო შენობები, სააგრაკე სახლები, მეჩეთი და სასტუმრო. ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურა არ არის კარგად განვითარებული.

გოდერძის უღელტეხილი (ფართობით 155.3 ჰა) - დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ერთგვარ გზაჯვარედინს, ვინაიდან აქ თავს იყრის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა (შ 1) ბათუმი-ახალციხე, ამავე კატეგორიის ბეშუმისკენ მიმავალი გზა (შ-76) და „მწვანე ტბის“ გზა. საგზაო კვანძის დანიშნულება და სამთო-სათხილამურო კურორტის ახლოს განლაგება სტრატეგიულ დოკუმენტში განაპირობებს გოდერძის უღელტეხილის უბნის ფუნქციურ პროფილს - სატრანსპორტო მომსახურების და კვების ობიექტები, ტურისტულ-საინფორმაციო და გამანაწილებელი დაწესებულებები.

გოდერძის უღელტეხილის უბანზე გვხვდება როგორც საცხოვრებელი - მოიალაღეების დასახლებები, ასევე სააგრაკე თუ ტურისტული დანიშნულების ობიექტები (სასტუმროები-სართულიანობით 1-დან 6-მდე).

კურორტ ბეშუმის, შქერნალის უბნისა და გოდერძის უღელტეხილის ერთიანი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის (შემდგომ - „კლასტერი“) სტრატეგიული განვითარების ურთიერთდაკავშირებული ფაზებიდან (ეტაპები), სტრატეგიულ დოკუმენტში ყურადღება

გამახვილებულია „კლასტერის“ ზამთრის სასპორტო-სარეკრეაციო ცენტრად განვითარების რესურსების, შესაძლებლობებისა და ფორმების რეალიზების დასაბუთებაზე, რეკომენდაციებსა და ფუნქციურ-გეგმარებით სქემაზე (დანართის სახით მოცემულია ზამთრის კურორტად განვითარების ხედვა-კონცეფცია).

გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების ერთ-ერთი წინაპირობა კლასტერში გამოვლენილი ძირითადი ბუნებრივი, ანთროპოგენური, ტექნოგენური გამოწვევები და მათი აღმოფხვრის/მართვის ალგორითმებია. ალგორითმები შემუშავებულია როგორც სტრატეგიულ დოკუმენტში მიღებული გადაწყვეტების რეალიზების მიზნით, ისე, - რეკომენდაციების სახით, - კლასტერის მრავალმხრივი განვითარების მართვა-აღმინისტრირების ფართო სექტორულ თუ ინსტიტუციურ ფორმატებში განსახორციელებელი ქმედებებისათვის. მოცემული გამოწვევები: კლასტერის და მასში შემავალი გეგმარებითი ერთეულების სტატუს(ებ)ისა და ადმინისტრაციული საზღვრების გაურკვევლობა, სახიფათო გეომორფოდინამიკური პროცესები და სხვა წარმოშობის საფრთხეები, ტყის (მცენარეულობის) საფარის შემცირება და გამეჩხერება, სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული გამოწვევები, ტურისტული პროდუქციის გამრავალფეროვნება და სეზონის გახანგრძლივება, ხანმოკლე ტურისტული სეზონი და ოთხსეზონიან კურორტად გარდაქმნის იდეა, მატერიალური და არამატერიალური კულტურული და ბუნებრივი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის არასაკმარისი წარმოჩენა, შიდა და გარე ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები, კლასტერში ფუნქციურ-სივრცითი წესრიგის დამყარება, მდგრადი ფუნქციურ-გეგმარებითი განვითარების აუცილებლობა.

ოთხსეზონიან კურორტად გარდაქმნის იდეა-განხორციელება ემყარება შემდეგ ამოცანებს:

- ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტის სრულფასოვანი ფუნქციონირება;
- შემოდგომისა და გაზაფხულის სეზონების შესაბამისი ფუნქციური დატვირთვა, სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, აქტიური ორგანიზაციული ღონისძიებები და ეფექტიანი მენეჯმენტი.

კლასტერში ქალაქგეგმარებითი დისციპლინის დამყარება, მდგრადი ფუნქციურ-გეგმარებითი განვითარება, ახალი სამშენებლო ტერიტორიების მოძიება-გამოვლენა სტრატეგიული დოკუმენტის მთავარი მიზანად არის დასახელებული. ამ თვალსაზრისით, კლასტერში გამოიყო არასამშენებლო და სამშენებლო ტერიტორიები (ქვეზონები). არასამშენებლო ტერიტორიები მოიცავს: გამწვანებულ, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, ბუნებრივ-ლანდშაფტურ და სხვა ტერიტორიებს, რომლებიც არ მიეკუთვნება სამშენებლო ტერიტორიებს.

დოკუმენტის თანახმად, იდენტიფიცირდა შემდეგი გამოწვევა - ტყის (მცენარეულობის) საფარის შემცირება და გამეჩხერება - ამ პროცესს რამდენიმე, ძირითადად ანთროპოგენული ხასიათის, მიზეზი აქვს: ხეების უკანონო ჭრა, ტყეში განაშენიანების შეჭრა, ტყეში საქონლის

ძოვება და სხვა. მოსალოდნელი შედეგი შეიძლება გახდეს კლასტერში მიკროკლიმატის გაუარესება. აღნიშნულ გამოწვევისთვის წარმოდგენილია შემდეგი ალგორითმები: ხის უნებართვო ჭრებზე კონტროლის გაძლიერება და სანქციების გამკაცრება; ხელოვნური გატყიანების პერსპექტიული ზონების დადგენა; დასარგავი მცენარეების ნომენკლატურის ნუსხის შედგენა; ტყეთაღდგენის პროცესში „გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღის“ სამეცნიერო-პრაქტიკული რესურსების ჩართვა და სანერგე მიმართულების განვითარება; ტყეში საქონლის ძოვების ამკრძალავი ღონისძიებების გათვალისწინება;

სკოპინგის განცხადებაში მოცემულია ინფრომაცია ბეშუმ-გოდერძის უღელტეხილის ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის ქალაქგეგმარებითი განვითარების ინდიკატორების მატრიცაზე, შესაბამისი ინდიკატორებით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სგშ-ის ანგარიშში. ეს ინდიკატორებია:

1. მმართველობა, 2. ბუნებრივი გარემო და მისი დაცვა, 3. სოციალურ-დემოგრაფიული ვითარება, ტურიზმი, ეკონომიკა, უსაფრთხოება, 4. სოფლის მეურნეობა, 5. საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურა და რესურსებით უზრუნველყოფა, 6. საგზაო და სატრანსპორტო სისტემები, 7. მყარი ნარჩენების მართვა, 8. სოციალურ-კულტურული: საზაფხულო სკოლები და ბანაკები; შშმ პირთათვის „მეგობრული“ გარემო; საფესტივალო სივრცეები, ღია ამფითეატრები, კინო და სხვ; რელიგიური ობიექტები (ჯამე, ეკლესია და სხვ.) სასპორტო ობიექტები, 9. ზამთრის კურორტად განვითარების ინიციატივები, 10. კულტურა და მემკვიდრეობის დაცვა; 11. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და სამშენებლო აქტიურობა, 12. ბრენდინგი, ნაციონალური და საერთაშორისო თანამშრომლობა.

გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავებისას გათვალისწინებულია ისეთი დარგობრივი საკითხები, როგორებიცაა:

- წყალსადენის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემების საპროექტო სამუშაოების კონცეფცია;
- ტრანსპორტის განვითარების კონცეფცია;
- ლანდშაფტის დაცვის კონცეფცია;

ბეშუმის ტრანსპორტის განვითარება მოიაზრებს ავტომობილებისგან თავისუფალი კურორტის შეიქმნას. დოკუმენტის მიხედვით, კურორტზე უნდა დაინერგოს ე.წ. „დაპარკინგდი და იმგზავრე“ სისტემა. ამასთან, კურორტი უნდა განვითარდეს მწვანე ტრანსპორტის მიმართულებით (ელექტრო ავტობუსები/ავტომობილები, მიკრო მობილობის საშუალებები, საბაგრო კავშირი, ველოსიპედით და ცხენით გადაადგილება). აღნიშნულ ხედვასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ორი ტიპის სცენარი/ალტერნატივა. პირველი გულისხმობს ავტომობილებისგან თავისუფალი ზონის შექმნას კლასტერის შიდა ტერიტორიაზე, კუტორტის შესასვლელ ტერიტორიაზე “დაპარკინგდი და იმგზავრე” სისტემის მოწყობას და პარკირების მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რამდენიმე მცირე სიმძლავრის პარკირებების მოწყობას საბაგირო სადგურებთან და ბემუმის მიზიდულობის წერტილების სიახლოვეს. მეორე სცენარის მიხედვით, ვიზიტორები შეძლებენ კურორტამდე და კურორტზე კერძო მანქანით გადაადგილებას, რაც გამოიწვევს პირველ სცენართან შედარებით გაცილებით მეტი საპარკინგე სივრცის მოწყობას კურორტის ტერიტორიაზე, ჰაერის დაბინძურებასა და ხმაურის ზრდას. შესაბამისად, მეორე სცენარი, დოკუმენტის მიხედვით, პირველთან შედარებით ნაკლებად სასურველი და მიზანშეწონილია.

ლანდშაფტის დაცვის კონცეფციის მიხედვით, კურორტ ბემუმის გეგმარებით სტრუქტურაში მწვანე ტერიტორიის ოთხი ზონა მოიაზრება:

1. საზოგადოებრივი მწვანე ზონა (პარკები): წარმოდგენილი იქნება ცენტრალურ ტერიტორიაზე. განთავსებული იქნება საბავშვო მოედნები (ატრაქციონები), ამფითეატრები და ფანჩატურები, შადრევნები და სხვა მცირე არქიტექტურული ფორმები. გამწვანება მოხდება სუბალპური ზონისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა, ბუჩქები და სუბალპური მაღალბალახიულობა, მოეწყობა ყვავილნარები, ბუნებრივი ლანდშაფტები.
2. ბულვარის ზონა (სასეირნო განიერი ქუჩა): შერჩეულია ნაკლებად დასახლებული ტერიტორია კურორტის ცენტრში, რომელიც იქნება გამწვანებული სუბალპური მარადმწვანე მცენარეებით (აღმოსავლური ნაძვი, სოჭი, სოსნოვსკის ფიჭვი) და დააკავშირებს კურორტის საცხოვრებელ სახლებს კურორტის ცენტრალურ ნაწილთან.
3. სპორტული ზონა: განთავსებული იქნება მოსახლეობასთან ახლოს (არსებულ სტადიონთან). სპორტულ ზონაში მოიაზრება სპორტული მოწყობილობები, სტადიონი, კორტების მოედნები, კალათბურთის მოედანი, გასახდელები. აღნიშნული ზონა გამწვანებული იქნება ბალახით.
4. მწვანე დასვენების ზონა: ძირითადი ლანდშაფტური კონცეფციის შემკვრელი ნაწილია და მოიცავს კურორტის მომიჯნავე სუბალპური სარტყელის ტყეებს. აღნიშნული ზონების სათავე დაიწყება ბუფერული ზონებიდან (ბუნებრივი ტყის მასივებიდან) და “სოლისებური გამწვანებით” შევა კურორტის ცენტრალურ ტერიტორიაზე. ამგვარი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური სქემა წარმოადგენს ლანდშაფტის დაცვის გეგმას. მწვანე დასვენების ზონა წარმოდგენილი იქნება ტერიტორიაზე არსებული მდინარეების გასწვრივ. დასვენების ზონაში მოეწყობა სასეირნო ბილიკები, პატარა ხიდები მდინარეზე და დასასვენებელი სკამები. ტერიტორიის გამწვანებაში ძირითადად მოაზრებულია მარადმწვანე წიწვოვანი ხეები, რათა არ მოხდეს რღვევა მწვანე ზონასა და ბუნებრივი ტყის მასივებს შორის. ასევე, დაირგვება ალპური ბუჩქები.

სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემულია გამწვანების რეგლამენტი და ტერიტორიაზე რეკომენდებულ მცენარეთა სახეობები. რუკის სახით წარმოდგენილია გამწვანების გეგმის რუკა.

დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია ტურიზმის განვითარების კონცეფცია, რომლის ცხრილშიც ასახულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე, უბნების მიხედვით, რა ტურისტული ღონისძიებების განვითარება არის შესაძლებელი. ასევე, მოცემულია ტურისტული მარშრუტების რუკა.

სამშენებლო განვითარებისთვის განისაზღვრა შემდეგი ქვეზონები:

- სასოფლო-სამოსახლო ქვეზონა (შზ-1): დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო ფუნქციების განხორციელება; სასოფლო-სამოსახლო ზონაში დასაშვებია საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე, ქვეზონისთვის შესაბამისი საზოგადოებრივი და სამეწარმეო ობიექტები, რომელიც გარემოზე არ ახდენს არსებით ზემოქმედებას. მითითებულია ნებადართული სახეობები, მაგალითად: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი, საბადე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური), მეფრინველეობა-მეცხოველეობის სამეურნეო და ტექნიკური სამეურნეო ნაგებობა, სავაჭრო და კვების ობიექტი და სხვა. აღნიშნული ქვეზონა, სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ექსტენსიურად (სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით) არ ვითარდება და ორიენტირებულია შიდა განვითარებაზე.
- ცენტრის ქვეზონა (შზ-2): ცენტრის ზონა წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული ზონის ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. ნებადართული სახეობებია, მაგალითად მრავალფუნქციური შენობა, სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა; კვების, სავაჭრო და საოფისე ობიექტი, სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს და სხვ. აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე განლაგებულია რამდენიმე სასტუმრო. ამ ზონაში, დოკუმენტის მიხედვით, სასურველია განთავსდეს, როგორც ტრანზიტორების, ისე კლასტერში დამრჩენი ტურისტებისათვის განკუთვნილი ობიექტები, მათ შორის - მსხვილი, ორდონიანი საავტომობილო სადგომი.
- საკურორტო-სარეკრეაციო ქვეზონა (შზ-4): ნებადართული სახეობებია, მაგალითად დაბალი ინტენსივობის დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი და პანსიონატი, სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა, დასასვენებელი ბანაკი, სასტუმრო, ტურისტული ობიექტი და სხვ.

საკურორტო-სარეკრეაციო ქვეზონა (შზ-4) შედგება დისპერსულად განლაგებული 4 ტერიტორიული ერთეულისაგან: საკუთრივ „კურორტი ბეშუმი“ და ლათინური ასოებით აღნიშნული, დოკუმენტით შემოთავაზებული საპროექტო საკურორტო სექტორები A, B, C.

სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილია განაშენიანებისგან თავისუფალი (არასამშენებლო) ტერიტორიები: ტყის ტერიტორია, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია,

გამწვანებული ტერიტორია, წყლის ობიექტების ტერიტორია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია: გზები/ქუჩები.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებებია: ადმინისტრაციული (სათემო) ცენტრი, ტურისტულ საინფორმაციო ცენტრი, მეტეო პუნქტის მოწყობა, რომელიც ძირითადად მოემსახურება ვერტმფრენის რეისების მეტეოროლოგიურ უზრუნველყოფას, კურორტზე ვერტოდრომის მოწყობა, ავტომობილების პარკინგების მოწყობა, ავტოსატრანსპორტო სერვისის პუნქტის მოწყობა, ველოსიპედებისა და ბაგის (buggy) გაქირავების პუნქტის მოწყობა მწვანე მობილობის სისტემის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობა, არსებული გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია, სიმძლავრის გაზრდა და ჩამდინარე წყლის გაწმენდის სრული ტექნოლოგიური ციკლის დანერგვა/დამატება, არსებული სასმელი წყლის რეზერვუარების რეაბილიტაცია და ახალი რეზერვუარების აგება მზარდი ტურისტული ნაკადის უზრუნველსაყოფად, ელექტრომომარაგების ქვესადგური, ელექტრომომარაგების მისაღებად კლასტერის საზღვრებს გარეთ მდებარე ჰიდროელექტროსადგურთან დაკავშირებით მემორანდუმის მიღება, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა, გაზის რეზერვუარის განთავსება (ან, პირველ ეტაპზე, გაზმომარაგების სპეცმანქანის სადგომის ადგილი.ს მოწყობა), სხვადასხვა ტიპის სასტუმროების, საბანკო მომსახურების ობიექტის, ინტერნეტ კაფის, კაფე-რესტორნების, ღია ამფითეატრის, საჯარო საფესტივალო სივრცის მოწყობა (დოლი, კონცერტი და ა.შ.), საბავშვო-სათამაშო და სასპორტო მოედნების მოწყობა, საზაფხულო ტურისტული კემპინგის ადგილების მოწყობა, საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით ცხენების თავლის მოწყობა, საზოგადოებრივი აუზების მოწყობა, ობსერვატორიის მოწყობა, სამედიცინო-საკონსულტაციო პუნქტის მოწყობა, ბალნეოლოგიური პუნქტის მოწყობა, რძის მიმღები პუნქტის (მშრალი საწყობი მაცივრით და მცირე ლაბორატორიით) შექმნა, ტექნოლოგიურად და სანიტარიულად გამართული ბაზრის მოწყობა, სპეციალური ტექნიკის დეპოს ჩამოყალიბება, ფართო პროფილის, ასევე სამშენებლო მასალების მაღაზიების ჩამოყალიბება, ზოგიერთი ობიექტისათვის (მემთეურების საზაფხულო კარ-მიდამო) კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლის სტატუსი მინიჭება, სამთო-სათხილამურო ტრასების და საბაგიროების მოწყობა, სასრიალო პარკის, ბავშვთა სათამაშო მოედნის, დამწყებთა ზონისა და თოვლის მოედნის მოწყობა.

კლასტერი აერთიანებს 12 ძირითად სასრიალო ტრასას განშტოებებით. კლასტერის საკვლევი არეალის სამთო-სათხილამურო განვითარებისათვის გამოიყო ორი ეტაპი, რაც დაფუძნებულია გარკვეულ სტრატეგიულ ხედვაზე. განვითარების პირველი ეტაპი გულისხმობს D1, D3, P1-6 საბაგიროებისა და მათი სასრიალო ტრასების მოწყობას. D3 საბაგირო დააკავშირებს ბეშუმის საკვლევ არეალს გოდერძის სათხილამურო კურორტთან, ხოლო P4-6 საბაგიროები უზრუნველყოფენ კავშირს მთის ქედებსა და მწვერვალებზე. P1-2 საბაგიროები შექმნიან დამწყებ მოსრიალეთა ზონას უღელტეხილზე, საიდანაც განვითარდება კავშირი გოდერძის კურორტისკენ და ბეშუმის საკვლევი არეალის მეორე ეტაპის

ინფრასტრუქტურასთან. ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს გოდერძის მხრიდან P3 საბაგიროს მოწყობაც.

განვითარების მეორე ეტაპი გულისხმობს D2, D4 და D5 საბაგიროების მოწყობას. მეორე ეტაპი ხელს შეუწყობს ბეშუმის საკვლევე არეალის სამთო-სამთხილამურო პოტენციალის ათვისებას და გოდერძის კურორტთან ერთად ჩამოაყალიბებს ერთიან სამთო-სამთხილამურო სისტემას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კურორტ ბეშუმსა და მის შემოგარენში ქარის ენერჯის პოტენციალი საშუალო ან მაღალია და მისი ალტერნატიულ წყაროდ გამოყენება შესაძლებელია. მზის ენერჯით სარგებლობას მოკლევადიანი სეზონური ხასიათი ექნება, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მისი გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ ზაფხულის პერიოდში. იგეგმება მოსაწყობი ინფრასტრუქტურის/ობიექტების სახურავების აღჭურვა მზის ენერჯის გარდამქმნელი პანელებით, წყალგამაცხელებელი სისტემის მონტაჟი, რომლებიც წლის თბილ პერიოდში ეფექტიანი იქნება.

გოდერძის უღელტეხილი და მისი შემოგარენი არაერთ კულტურულ ძეგლს აერთიანებს. დამახასიათებელი ტრადიციული აჭარული სახლების ნაწილი მიტოვებულია, თუმცა სკოპინგის განცხადების მიხედვით შესაძლებელია ამგვარი ძველი ტრადიციული სახლების აღდგენა და მათი ტურისტული მიზნებისათვის გამოყენება.

განაშენიანების გეგმის გარემოზე ზემოქმედების გეოგრაფიული არეალი შესაძლოა მეტად გაფართოვდეს სგმ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის, გეგმარებითი ერთეულის და საკვლევე არეალის საზღვრების დაკონკრეტებასთან ერთად და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე.

სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილი ტერიტორია ზოგადად არის აღწერილი გეოლოგიის, სეისმურობისა და კლიმატის კუთხით. წარმოდგენილია სხვა სტრატეგიული დოკუმენტების ჩამონათვალი. ზოგადად არის განხილული სტრატეგიულ დოკუმენტებთან დაკავშირებული გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი ასპექტები და ემსახურება ზემოქმედების ხასიათის და სპექტრის აღწერას.

დანართის სახით წარმოდგენილია კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის ბუნებრივ-ეკოლოგიური მდგომარეობისა და მინერალური წყაროების მონაცემები, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია კლიმატის, რელიეფის, გეოლოგიური აგებულების, გეომორფოლოგიის, სტრატეგრაფიის, ჰიდროლოგიური პირობებისა და ჰიდროლოგიური ქსელის, ნიადაგების, ეკოსისტემური სერვისების, ლანდშაფტისა და ბიომრავალფეროვნების, ფლორის, ტყის ფონდის, ტყის მავნებლების, ფაუნის და სხვა საკითხების შესახებ.

სკოპინგის განცხადების გეომორფოლოგიასა და ჰიდრომორფოლოგიის შესახებ ქვეთავის მიხედვით გამოკვლეულ ტერიტორიაზე მონაცვლეობენ მდგრადი, პირობითად მდგრადი (პოტენციური) და არამდგრადი მონაკვეთები, რომლებიც საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით დაყოფილია მარტივ (I), საშუალო სირთულის (II), რთულ (III) კატეგორიებად. პირველი კატეგორიის შემთხვევაში მიწისზედა და მიწისქვეშა სივრცეები შეიძლება ათვისებული იქნას ნებისმიერი ტიპის თანამედროვე შენობა-ნაგებობების ასაგებად. მეორე შემთხვევაში, საჭირო გახდება დამატებითი ღონისძიებების გატარება ასათვისებელი ფართობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

წარმოდგენილია ინფორმაცია გრუნტის წყლების, ბიოტოპებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ, აღწერილია ადგილობრივი კლიმატი. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გამომწვევ ძირითად წყაროებად დასახელებულია: ბუნებრივი აირის მაგისტრალური მილის გაყვანის, სასტუმროებისა და გზების მშენებლობის მიმდინარე საქმიანობები.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ღონისძიებების მოკლე აღწერა წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და გარემოსდაცვითი ღონისძიებების პროგრამის ფორმატით (ცხრილების სახით წარმოდგენილია გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის მართვის გეგმისა და გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების პროგრამის ფორმატები). აღნიშნული ღონისძიებები შემუშავებული იქნება ზემოქმედებების საპასუხოდ. ღონისძიებები რანჟირებული იქნება მაღალი, საშუალო და დაბალი პრიორიტეტულობის ქმედებებად გარემოსდაცვითი ეფექტურობის, განხორციელების დროის, საინვესტიციო, საოპერაციო და არაპირდაპირი ხარჯების ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე.

სხვადასხვა ღონისძიებისა და საქმიანობის დაგეგმვით და განხორციელებით მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნება როგორც ათვისებული, ისე ათვისებელი ტერიტორიების განვითარებას (ე.წ. „გრინფილდ“ განვითარება), რაც გამოიწვევს ცვლილებებს მიწათდაფარულობასა და მიწათსარგებლობაში (სათანადო გარემოსდაცვითი შედეგებით.)

წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგადი გარემოსდაცვითი საკითხები, როგორცაა:

- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ზრდა.
- ნარჩენების წარმოქმნა.
- ჩამდინარე წყლების წარმოქმნა და მათი უტილიზაციის საჭიროება.
- წყლის რესურსებზე მოთხოვნის ზრდა.
- ენერჯო მოხმარების ზრდა.
- ხმაურის წარმოქმნა.

- **ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების რისკის ზრდა.**

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება გამოიწვევს შემდეგ გარემოსდაცვით საკითხებზე რეაგირებას:

- **ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.** დოკუმენტის თანახმად, მოსალოდნელია კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის სუბალპური სარტყლის მოწყვლად ჰაბიტატებში, ფლორისა და ფაუნის გლობალური წითელი ნუსხის, კავკასიის წითელი ნუსხისა და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებზე ზემოქმედება;
- **ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება.** დაგეგმარების განსახორციელებლად, მშენებლობის ეტაპზე მოხდება ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის მოხსნა, შესაბამისი დასაწყობება და აღდგენა კანონმდებლობის მიხედვით. ზემოქმედებას გამოიწვევს გრუნტის სამუშაოები. მშენებლობის დროს ნიადაგის ეროზიის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება და ღონისძიებების გატარება დასჭირდება.
- **ადამიანზე, ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების რისკის ზრდა.** გეოლოგიური საფრთხეებიდან კურორტ ბეშუმს (მიმდებარე ტერიტორიებით) გოდერძის უღელტეხილსა და შქერნალს ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნის ეროზიული პროცესები; რომელიც მოითხოვს შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
- **წყლის რესურსებზე მოთხოვნის ზრდა.** კურორტის განვითარებას გამოიწვევს წყლის რესურსებზე მოთხოვნის ზრდას. შესაძლებელია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის წყაროების გამოყენება კურორტის წყლით მომარაგებისათვის;
- **ნარჩენი წყლების წარმოქმნა და მათი უტილიზაცია.** კურორტის განვითარებასთან ერთად გაიზრდება ჩამდინარე წყლის წარმოქმნა. საჭირო გახდება მოეწყოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა.
- **ენერგომოხმარების ზრდა.** გენერალური გეგმის შესაბამისად უნდა შემუშავდეს ელექტროენერგიით მომარაგების სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განახლებადი ენერჯის (მზის და ქარის) გამოყენება. გაზრდილი ენერგომოხმარება საჭიროებს შერბილებას ენერგოდამზოგი მშენებლობით და ინფრასტრუქტურის მოწყობას ენერჯის მოხმარების შემცირებით.

სკოპინგის განცხადების თანახმად, დაგეგმარებით გათვალისწინებული საქმიანობები არ გამოიწვევს სახიფათო, ტოქსიკური ან მავნე ნივთიერებების გაფრქვევებს ჰაერში. თუმცა, მშენებლობის ეტაპზე ტერიტორიაზე სატვირთო/სატრანსპორტო და სამშენებლო ტრანსპორტის მუშაობა გამოიწვევს ზემოქმედებას.

გარემოსთან ან/და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებად დასახელებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით კი ეს ეხება წყალს, ნიადაგსა და ბიომრავალფეროვნებას. აუთვისებელი ტერიტორიების განვითარების (ე.წ. „გრინფილდ“ განვითარება) პირობებში მოსალოდნელია ზემოქმედებები აღნიშნულ ბუნებრივ რესურსებზე.

სკოპინგის განცხადების თანახმად, მიწის სამუშაოების მოცულობები და შესაბამისად განსათავსებელი ინერტული და სამშენებლო ნარჩენების მოცულობები მნიშვნელოვანი იქნება. გარემოს დაბინძურება და ხმაურის გავრცელების საკითხი დადგინდება სგმ-ს კვლევების ეტაპზე. ავარიის ან/და კატასტროფის რისკი განისაზღვრება დეტალური საბაზისო კვლევებისას.

სკოპინგის განცხადების თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გეოლოგიური პროცესების აქტივაციის საფრთხეს (მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპები), ზვავების აქტივაციის საფრთხეს (კურორტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში (ზამთარში), გეოდინამიკურ პროცესებს და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებას (მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპები).

სკოპინგის განცხადების მიხედვით, სგმ-ის ანგარიშში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ პრობლემების მოგვარებაზე, რამაც კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის სუბალპური მცენარეული საფარის მოდიფიკაცია და დეგრადაცია გამოიწვია.

სკოპინგის განცხადებაში მოცემულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალში მოხვედრილი ორი გეგმარებითი დაცული ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის დიდი ნაწილი მოქცეულია ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული უბნის-„გოდერძი GE0000026“- ტერიტორიაზე.

სკოპინგის განცხადებაში მეთოდოლოგიურად, ალტერნატივების განხილვა შემოთავაზებულია სამ დონეზე: სტრატეგიული, გეგმარებითი, კონკრეტული.

სტრატეგიული ალტერნატივების სივრცითი ანალიზი კლასტერული რანჟირებით იქნება შესრულებული შემდეგი დარგობრივი ინდიკატორებისთვის: ეკოლოგიური გარემო და ხარისხი; ჯანმრთელობის დაცვა; ეკონომიკური ეფექტიანობა; რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და ეკოტურისტული მიმზიდველობა; ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა; ბეშუმ-გოდერძის უღელტეხილის ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი; გეოსაფრთხეები; ანთროპოგენური საფრთხეები; განაშენიანების სიმჭიდროვე; საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობა; სხვა შესაძლო დარგობრივი ინდიკატორ(ებ)ი.

თითოეული დარგობრივი ინდიკატორი, შესაძლებლობისა და საჭიროებისამებრ, უშუალოდ, ან ქვედარგების პარამეტრების გასაშუალოებით განისაზღვრება, სათანადო შეწონვით. ინდიკატორების მისაღებად გამოყენებული იქნება დარგობრივი სივრცული მონაცემები (არსებობის შემთხვევაში) ან ექსპერტული შეფასებები სივრცულ საფუძველზე. ასევე წარმოდგენილია მატრიცა, რომლითაც იწარმოებს ინდიკატორული შეფასების რანჟირება დარგებისთვის. სივრცითი მონაცემების გენერირება გეგმარებითი არეალისთვის იწარმოებს

საგზაო ქსელით შეკრული ბადით გამოყოფილი პოლიგონების საფუძველზე, ან სხვა ნებისმიერი სივრცითი ერთეულით, კონკრეტული დარგობრივი ინდიკატორისთვის არსებული, ან ექსპერტულად შეფასებული მონაცემების ხასიათიდან გამომდინარე. დარგობრივი მონაცემებით ინტეგრალური ინდიკატორის მისაღებად ალტერნატივების ანალიზი იწარმოებს გასაშუალოების (არითმეტიკული ან გეომეტრიული) და შეწონვის კოეფიციენტების ვარირების საფუძველზე. დარგობრივი წონების ალტერნატიული მნიშვნელობები ექსპერტული შეფასების და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების და ინტეგრალური შედეგების საფუძველზე იქნება შეჯერებული („დელფის“ მეთოდი).

გარემოსდაცვითი, გეგმარებითი, ადგილმდებარეობის შერჩევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გაანალიზდება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში შემოთავაზებული სხვადასხვა გეგმარებითი და დარგობრივი ალტერნატივები.

სკოპინგის განცხადებით თანახმად, გეგმარების ალტერნატივების მიხედვით, ცალკეული ალტერნატივა მოიცავს გადაწყვეტილების სამ ვარიანტს: მაქსიმალურს, ნულოვანს და მინიმალურ ვარიანტს.

პირველი ალტერნატივის მაქსიმალური ვარიანტის შემთხვევაში, კურორტზე მოეწყობა ყველა სახის საჭირო ინფრასტრუქტურა, დადგინდება განვითარების ქვეზონები და პარამეტრები, განვითარდება დივერსიფიცირებული ტურიზმი, კეთილმოეწყობა მწვანე სივრცეები; ალტერნატიული ენერჯის გამოყენებისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების საშუალებით დაცული იქნება კურორტის გარემო.

ნულოვანი ვარიანტის მიხედვით, თუ გენერალური გეგმით შემოთავაზებული ამოცანები არ განხორციელდება, გაგრძელდება კურორტის სტიქიური განვითარება, რაც გარკვეულ დროში აუცილებლად დააზარალებს მის გარემოს; გამოიწვევს მის გადატვირთვას შეუსაბამო ნაგებობებით; ტურისტთა დიდი რაოდენობის გამო შეიძლება იყოს სასმელი წყლის უკმარისობა და სანიტარიული პირობების დარღვევა სათანადო რაოდენობაზე გათვლილი საკანალიზაციო სისტემის გაუმართავობის გამო; მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო იქნება საგზაო მოძრაობის შეფერხებები; და საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი გამოიწვევს კურორტის პუპოლარობის დაკარგვას, მის დეგრადაციას და განვითარების სტაგნაციას. ამგვარი სურათი უკვე არსებობს ზოგიერთ ზამთრის კურორტზე (მაგალითად, ბაკურიანი).

მინიმალური ვარიანტი - გენერალური გეგმით გათვალისწინებული მხოლოდ კრიტიკულად აუცილებელი საინჟინრო-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურების ობიექტების რეაბილიტაცია განვითარება.

მეორე ალტერნატივის მაქსიმალური ვარიანტია - ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტად განვითარება. ზამთრის ტურიზმი გულისხმობს ზამთრის სასპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობასაც. ნულოვანი ვარიანტი გულისხმობს ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტად

განვითარებაზე უარის თქმას. მინიმალურ ვარიანტი გულისხმობს ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტად განვითარებისათვის მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის მოწყობას. აღნიშნული შეიძლება განხილვოდეს მაქსიმალური ვარიანტის ფაზებად განხილვის კონტექსტში.

ალტერნატივა 3 გულისხმობს კლასტერის, როგორც კლიმატგამაჯანსაღებელი, ბალნეოლოგიური, ტალახით მკურნალობითა და ჰიპოთერაპიის პროფილებით განვითარებას. ამ ალტერნატივის მაქსიმალური ვარიანტი გულისხმობს კლიმატგამაჯანსაღებელი, ბალნეოლოგიური, ტალახით მკურნალობისა და ჰიპოთერაპიის პროფილით განვითარებას. ნულოვანი ვარიანტის მიხედვით ტერიტორია არ განვითარდება კლიმატგამაჯანსაღებელი, ბალნეოლოგიური, ტალახით მკურნალობისა და ჰიპოთერაპიის პროფილით. მინიმალური ვარიანტის მიხედვით იგულისხმება კლიმატგამაჯანსაღებელი, ბალნეოლოგიური, ტალახით მკურნალობისა და ჰიპოთერაპიის პროფილით განვითარებისათვის მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ალტერნატივა 4-ის მაქსიმალური ვარიანტი გულისხმობს აჭარის მთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მოწყობას, სამუზეუმო ობიექტების ერთ ადგილზე კონცენტრირებით. ნულოვანი ვარიანტი გულისხმობს კლასტერის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენაზე უარის თქმას. მინიმალური ვარიანტი გულისხმობს კლასტერის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ლოკალური წარმოჩენას.

ალტერნატივა 5-ის მაქსიმალური ვარიანტი გულისხმობს გამონაბოლქვის წარმომქმნელი ტრანსპორტის მინიმუმაციას და მწვანე მობილობის ხელშეწყობას. ამ შემთხვევაში მოაზრებულია ერთი მსხვილი/კომპლექსური პარკინგის მოწყობა გოდერძის უღელტეხილზე, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც ავტომობილების პარკირება (რათა შეიზღუდოს კურორტზე ტრანსპორტის მოძრაობა), ასევე ყველა სახეობის მწვანე მობილობის ტექნიკური საშუალებების გაქირავება (რომლის მეშვეობითაც მოხდება კლასტერის შიდა ტერიტორიაზე გადაადგილება). ნულოვანი ვარიანტი გულისხმობს ავტომობილებით შეუზღუდავ გადაადგილებასა და ნებისმიერ ადგილას პარკირებას. მინიმალური ვარიანტი გულისხმობს პარკირების მოქნილ სისტემას, შედარებით მსხვილი პარკინგის მოწყობას გოდერძის უღელტეხილზე, ძირითადად ტრანზიტული ტურისტებისთვის, სადაც ასევე განთავსებული იქნება მწვანე მობილობის საშუალებების გასაქირავებელი პუნქტი. ასევე, მომცრო ზომის პარკინგების მოწყობა კლასტერის უბნებში (სადაც ამის საშუალება მოიძებნება) და ზამთრის პირობებში საბაგირო სადგურების ქვედა სადგურებთან. აღნიშნული ვარიანტი დოკუმენტის მიხედვით მიჩნეულია ოპტიმალურად.

ალტერნატივა 6-ის მაქსიმალური ვარიანტი გულისხმობს სოფლის მეურნეობის ალპური მეცხოვლეობისა და მებოსტნეობის პოპულარიზაციას. ხოლო ნულოვანი ვარიანტი

გულისხმობს სოფლის მეურნეობის ტრადიციულ ფორმების ბუნებრივი დაკნინების ტენდენციას.

სკოპინგის განცხადებაში მოცემულ ზოგად საბაზისო კვლევებში ჩამოყალიბებულია სგმ-ის მომზადების პროცესში განსახორციელებელი ზოგადი და სპეციფიკური კვლევები. გამოიყო კონკრეტული გარემოსდაცვითი საკითხები, რომელთა გაანალიზება რეკომენდებულია სგმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში განსახორციელებელი საბაზისო კვლევების ფარგლებში.

წარმოდგენილია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რელევანტური საკითხები, რომლებიც აუცილებელია აისახოს სგმ-ში:

- გოდერძის უღელტეხილის ღირებულება საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების სისტემაში;
- დამსვენებლების ჯანმრთელობა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი;
- ტყის ფართობების აღდგენა/ გაშენება.
- სამოვრების რეგულირება;
- ალტერნატიული მზის ჰელიო პანელების დანერგვა;
- სასმელი წყლის მონიტორინგი;
- მეწყერული და ეროზიული პროცესების პრევენცია/ტერიტორიების მართვა ზონირებით და სხვ.

სკოპინგის განცხადებაში ასევე მოცემულია სგმ-ის ანგარიშში ასახვა და სგმ-ის ეტაპზე წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი. მაგალითად:

- გაანალიზდეს საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე ხელმისაწვდომობა; სგმ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არსებული რეკრეაციული ტერიტორიების შესახებ ან/და მათი განაწილების თაობაზე ერთ სულ მოსახლეზე და სხვ.
- აისახოს მონიტორინგის მონაცემები ჰაერის კონკრეტულ დამაბინძურებლებზე, ასევე დამაბინძურებლების შესახებ ინფორმაცია;
- აღიწეროს კლიმატის ცვლილების ადაპტაციისაკენ მიმართული ღონისძიებების დეტალური გეგმა;

ანალიზისას ზემოქმედებების შეფასება განხორციელდება მნიშვნელოვანი ზემოქმედებების განსაზღვრის მატრიცის მიხედვით, ხოლო ზემოქმედების მასშტაბი დადგინდება წარმოდგენილი გარემოსდაცვითი რისკების განმსაზღვრელი მატრიცის მეშვეობით. საქმიანობებისათვის შემარბილებელი ღონისძიებების და ქმედებების მითითება გარემოსდაცვითი ღონისძიებების პროგრამაში აუცილებელი იქნება საშუალო და მაღალი მნიშვნელობის ზემოქმედებების მიმართ.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ (დადასტურების შემთხვევაში) ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება სგშ-ის ანგარიშში.

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციის სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;
2. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.
3. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;
4. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი;
5. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების ვადების მითითებით, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში;
6. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.
7. **სგშ-ის ანგარიშის** გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური

აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო - გეოლოგიური პირობები; გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.

8. **სგშ-ს ანგარიშში** აისახოს ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება (ზზშ), იმ სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, რომელთა დასაცავად შეიქმნა ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ „Goderdzi - GE0000026“ საიტი, რომელსაც ემთხვევა სტრატეგიული დოკუმენტის განცორიცლების ტერიტორიის ნაწილი.
9. **სგშ-ის ანგარიშში** ნარჩენების მართვის საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. აგრეთვე, მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად.
10. **სგშ-ის ანგარიშში** დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე წყალმომარაგების და ასევე ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები.
11. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს კონცეფციით წარმოდგენილი ზონების/ქვეზონების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, განაშენიანების პარამეტრები, სიმჭირდოვები, შეზღუდვები, შენობებისთვის დასაშვები სიმაღლის ზღვრები. განხილული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე თითოეული ზონისთვის ზოგადი, საერთო კონცეფციის (ერთიანი იერსახე) საკითხი და თითოეული ზონისთვის უნდა განისაზღვროს არქიტექტურული კონცეფცია (მათ შორის შენობა-ნაგებობების სამშენებლო მასალები, ფორმები, ფერები, ზომები). უნდა აისახოს ინფორმაცია საკურორტო-სარეკრეაციო ქვეზონის (შზ-4) შემადგენელი ნაწილების - საკუთრივ „კურორტი ბეშუმის“ და საკურორტო სექტორების (A, B, C) განაშენიანების პარამეტრების, მათზე დაგეგმილი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების, ფუნქციისა და შეზღუდვების შესახებ.
12. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს ინფორმაცია კონცეფციის გამწვანების გეგმის რუკაზე აღნიშნული „ბუნებრივი ლანდშაფტის“ შესახებ.
13. **სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ლანდშაფტის დაცვის კონცეფციით განსაზღვრული მწვანე ტერიტორიის ოთხივე ზონისთვის დადგენილი შეზღუდვების და ნებადართული საქმიანობების შესახებ. სგშ-ის ანგარიშში განისაზღვროს აღნიშნული “მწვანე ტერიტორიების” წილი მთლიან გეგმარებით არეალზე.

14. სგშ-ის ანგარიშში აისახოს ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ან დამახასიათებელი თვისებების კონსერვაციისა და შენარჩუნების საკითხები, მათ შორის ტერიტორიის სამომავლო განვითარების ადაპტირება არსებულ ბუნებრივ და სახეცვლილ ლანდშაფტთან, უხეში ჩარევის გარეშე. უნდა აისახოს ინფორმაცია საფეხმავლო ინფრასტრუქტურის (ბილიკები, ტროტუარები) შესახებ.
15. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების თაობაზე, შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
16. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის;
17. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
18. სგშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების Shp ფაილები;
19. სგშ-ის ანგარიშში განხილული, შეფასებული და შედარებული უნდა იყოს ალტერნატივები სტრატეგიულ, გეგმარებით და კონკრეტულ დონეზე. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით.
20. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს პოტენციური ტურისტული მარშრუტები და ბილიკები, ასევე განისაზღვროს ტურისტული აქტივობების ლიმიტები/პირობები.
21. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, გზებისა და ხიდების (ასეთის შემთხვევაში) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
22. სგშ-ის ანგარიშში ასახული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განსახორციელებელი საქმიანობების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (მათ შორის ვერტოდრომი, ავტომობილების პარკინგი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, სასმელი წყლის რეზერვუარები, ქვესადგური, ჰიდროელექტროსადგური, ავტოგასამართი სადგური, თხევადი გაზის რეზერვუარი/გაზომომარაგების მანქანის სადგომი, სამთო-სათხილამურო ტრასები, საბაგიროები).
23. სგშ-ის ანგარიშში მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა;

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალში მდებარეობს გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის მცირე მონაკვეთი. აღნიშნულ მონაკვეთს ასევე ემთხვევა გენერალურ გეგმით წარმოდგენილი „სატყეო ტერიტორიები“. საჭიროა დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი.
- კონცეფციის მიხედვით, „ბუნების ძეგლების კატეგორიაში გამოირჩევა გოდერძის უღელტეხილის სიახლოვეს არსებული, კავკასიაში ერთადერთი „გოდერძის ნამარხი ტყე“, რომელსაც მინიჭებული აქვს „ბუნების ძეგლის“ ოფიციალური სტატუსი. ამის მიუხედავად, ძეგლის ტერიტორიაზე გამოყოფილი იყო ტყეკაფები და გატარებულია სატყეოს გზები. შედეგად, გაჩნდა მეწყრები და მცირე ზომის მეწყრული საფეხურები.“ საჭიროა მითითებული იყოს, რომ გოდერძის ნამარხ ტყეს 2013 წლიდან „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ბუნების ძეგლის სტატუსი და გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების შემდგომ ტერიტორიაზე არ განხორციელებულა ტყეკაფების გამოყოფა და სატყეო გზების გაყვანა.
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ტექნიკურ რეგლამენტში – „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების, ქცია-ტაბაწყურის ადკვეთილისა და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა“ - მწირია ინფორმაცია ბუნების ძეგლის შესახებ და მითითებულია გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლისათვის მენეჯმენტის გეგმის მომზადების საჭიროება. სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა მოიცავს ადმინისტრაციას მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებს. მოცემულ შემთხვევაშიც ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას დაქვემდებარებული კატეგორიები, მათ შორის გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი იმართება ტექნიკური რეგლამენტით – „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების, ქცია-ტაბაწყურის ადკვეთილისა და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმის“ შესაბამისად.
- სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული ტერიტორიების გარკვეული ნაწილი 2015-2017 წელს ჩატარებული ტყეთმორწყობის მასალებისა და აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2017 წლის 15 მაისის №16 ბრძანებით დამტკიცებული ტყის მართვის გეგმის მიხედვით შედის სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ხულოს სატყეო ადმინისტრაციის ზეგნის სატყეოში კერძოდ: კურორტ ბემუმის მიმდებე ტერიტორიები კვარტალი №9 ლიტერი №1-29. კვარტალი №10 ლიტერი №9,11,14. კვარტალი №11 ლიტერი №18,23,24,26,27. კვარტალი №12 ლიტერი №18,21,22,23,25. 125,6554 ჰა, გოდერძის უღელტეხილის არეალში კვარტალი №7 ლიტერი №7,8,10,11,12. კვარტალი №58 ლიტერი №14,16,24. 8,7388 ჰა და შქერნალის ტერიტორია კვარტალი №8 ლიტერი №1,2,3,4,8,9,10,11,13,14. 55,0896 ჰა. მთლიანი ფართობი შეადგენს 189,4839 ჰა-ს. ტყეთმორწყობის მასალების მიხედვით კვარტალი №8 ლიტერი №2,11. კვარტალი №9 ლიტერი №17. კვარტალი №11 ლიტერი №27. კვარტალი №12 ლიტერი №23. კვარტალი

№58 ლიტერი №24,16 გათვალისწინებულია ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა (შემოდგომა ნიადაგის აჩიქვანა), ხოლო ზოგიერთ უბნებში ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მთის მოიალაღე მოსახლეობის საშუალო მერქნით მომარაგების მიზნით იგეგმება ფაუტი, ზეხმელი და მოთხრილმოტეხილი ხე-ტყის მონიშვნა. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე 33-ე მუხლის თანახმად საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობა (შემდგომში – რეკრეაციული ტყითსარგებლობა) გულისხმობს დასვენების, ფიზიკური გაჯანსაღებისა და სხვა მსგავსი მიზნებისთვის ტყის ფართობის გამოყენებას აუცილებელი შენობა-ნაგებობების, მათ შორის, კვების ობიექტებისა და დამხმარე სათავსების აშენებით, მოწყობილობებისა და სპორტული ინვენტარის დამონტაჟებით, სასაფარი ბილიკებისა და გადასახედების და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობით. სტარტეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული წყალსადენის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემების საპროექტო სამუშაოების განხორციელება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ამავე დადგენილების და საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით წარმოადგენს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობას, რომლის განხორციელებაზე ნებართვას გასცემს ტყის მართვის ორგანო.

- თანდართული დოკუმენტებით და სსიპ მინერალური რესურსების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება. თუმცა, როგორც წარმოდგენილი დანართით ირკვევა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდება მიწისქვეშა წყლების გამოსავლები, რომლებსაც გააჩნია სანიტარული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონა, რომელიც უნდა გადიოდეს გამოსავლიდან არანაკლებ 15 მეტრში. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის (სანიტარული დაცვის ზონები) მეოთხე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირველ სარტყელში (მკაცრი რეჟიმის ზონა) აკრძალულია „ნებისმიერი მშენებლობა, გარდა წყალსადენის ნაგებობებისა; ნებისმიერი დანიშნულების საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება; ინერტული მასალის მოპოვება; მილსადენის გაყვანა (გარდა წყალსადენის ნაგებობების მომსახურებისათვის აუცილებელისა); ჩამდინარე წყლების ჩაშვება, ბანაობა, პირუტყვის ძოვება და დარწყვება, რეცხვა, თევზჭერა, შხამქიმიკატების გამოყენება მცენარეთა დაცვის მიზნით“.
- სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილ კონკრეტული საქმიანობების ალტერნატივების შედარების ცხრილში (ცხრილი 2) ალტერნატივების გრაფაში უნდა იყოს მითითებული შესაბამისი ალტერნატივები.
- სკოპინგის განცხადებაში მითითებულ “ცხრილი 4”-ში (გარემოსდაცვითი რისკების განმსაზღვრელი მატრიცა) რისკის კატეგორიის მასშტაბის მიხედვით შეფასება (0) და (-

1) მნიშვნელობებისთვის მეორდება. საჭიროა სგმ-ის ანგარიშში დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი.

- წარმოდგენილი უნდა იყოს რუკა, სადაც მწვანე ტერიტორიის ოთხივე ზონა (საზოგადოებრივი მწვანე ზონა (პარკები), ბულვარის ზონა (სასაქონლო განიერი ქუჩა), სპორტული ზონა, მწვანე დასვენების ზონა) იქნება გამოკვეთილი.
- საჭიროა წარმოდგენილი იყოს რუკა, სადაც ერთად იქნება ასახული კონცეფციაში წარმოდგენილი ყველა ზონა და ქალაქმშენებლობითი ღონისძიებები.
- სგმ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში უნდა აისახოს დამატებითი ინფორმაცია სკოპინგის განცხადებაში აღნიშნული “ტყეში მოსასვენებელი ადგილების” საკითხის შესახებ.
- კონცეფციის მიხედვით „შედგენილია ყველა უბნის მოკლე დახასიათება და განვითარების პერსპექტივა და ფორმები”. საჭიროა სგმ-ის ანგარიშში აისახოს აღნიშნულ უბანთა განვითარების პერსპექტივისა და ფორმების შესახებ ინფორმაცია.
- სგმ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს მიზეზშედეგობრივ, თანმიმდევრულ მსჯელობასა და ანალიზს, როგორც წარმოდგენილი კონცეფციის, ასევე მის დანართებში არსებულ გარემოსდაცვით საკითხებთან და დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციის სგმ-ის ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.